თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №1

თბილისი, 13 ივლისი, 2016

სხდომა დაიწყო 13.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესიკ ლოლაძე;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე ბესიკ დევდარიანი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარებისა და თვითმმართველობის დეპარტამენტის უფროსი გიორგი წაქაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;

– მარიამ სხილაძე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
– გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

– ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია;
– ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი არჩილ ანასაშვილი;
– ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გიორგი ჯავახიშვილი;
– საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დიმიტრი ჩქარეული;
– შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი ნინო მინდიაშვილი;
– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ანი გაბრიჭიძე.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – გოჩა თევდორაძე;
– „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – ოთარ კახიძე;
– „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ სალუაშვილი;
– „ეროვნული ერთიანობის პარტია“ – თამარ ღვინაძე;
– „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“ – თამარ კეკენაძე;
– „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ – პაატა კაკულია.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
– „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) – ნინო დოლიძე;
– ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო – ხათუნა ჭითანავა;
– ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში (COE) – მიხეილ კეჭაყმაძე;
– ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში – ირაკლი ქობალია.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – გიორგი კაკუბავა;

– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
– „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – რატი თიკანაშვილი;
– „მრავალეროვანი საქართველო“ – ირმა ბასილაშვილი;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 13:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1) თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მიმართვა.

2) ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადების განხილვა, რომლის მიხედვითაც, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე გიორგი ჭიღვარია სოციალური ქსელის (Facebook) მეშვეობით 2016 წლის 1, 4 და 5 ივლისს, სამუშაო საათებში, სავარაუდოდ, ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას.

3) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვასთან დაკავშირებით:

3.1 წარმოდგენილი ინფორმაციით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – თავმჯდომარე რამინა (რიმა) ბერაძისა და შპს „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ ხელმძღვანელ ქეთევან ბარათელის ორგანიზებით ქ. თბილისის საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები. აქცია წმიდა მიქაელის სახელობის კლინიკაში მოეწყო და მასში სკოლების 200-მდე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

3.2 განცხადების თანახმად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის საფეხბურთო გუნდ „ჩელას“ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სპორტული საზაფხულო ტანსაცმელი, ბურთები და სხვა საჭირო ინვენტარი გადასცა პარტია „ქართული ოცნების“ სახელით.

4) სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, პირველ რიგში, აღნიშნა კომისიის წარმატებული საქმიანობა 2013, 2014 და 2015 წლების არჩევნების პერიოდში და კომისიის მნიშვნელოვან მიღწევად დაასახელა შუალედური არჩევნების დროს კომისიის მხრიდან გადადგმული ნაბიჯები სპეცუბნების საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით. მან ამ კუთხით აქტიური ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ ბესიკ ლოლაძეს.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა დამსწრე ორგანიზაციების საყურადღებოდ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია არის დროებით მოქმედი და საქმიანობას წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან. თავმჯდომარის განმარტებით, კომისია შეიქმნა იუსტიციის მინისტრის ბრძანებით 2016 წლის 29 ივნისს და მის შემადგენლობაში შედის 13 უწყება. ამასთან, მან ისაუბრა სხდომების ჩატარების ინტენსივობაზე: საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, უწყებათაშორისი კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ – კვირაში ერთხელ მაინც.

თავმჯდომარემ ისაუბრა კომისიის საქმიანობაში მისი გადაწყვეტილებით მიღებულ სიახლეზე, რომლის მიხედვითაც, კომისიის თავმჯდომარეს ეყოლება მოადგილე შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომელიც მისი არყოფნის შემთხვევაში უხელმძღვანელებს კომისიის სხდომებს. ამის შემდგომ კომისიამ დაიწყო სამდივნოში შემოსული განცხადებების განხილვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ აღნიშნა, ამ განცხადებას კომისიის მყისიერი რეაგირება მოჰყვა – მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად გუბერნატორთან კომუნიკაცია და შეხსენება კანონით დადგენილი შეზღუდვების შესახებ. ასევე, კომისიამ მთავრობის ადმინისტრაციას მიაწოდა საარჩევნო კოდექსის საფუძველზე განსაზღვრული ინსტრუქციები, რომლებითაც უზრუნველყოფილ იქნა უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტი და სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

კომისიის თავმჯდომარემ კანონიდან ამონარიდი მოიყვანა, რომელიც განსაზღვრავს საარჩევნო აგიტაციის უფლების მქონე პოლიტიკური თანამდებობის პირთა ჩამონათვალს; ხოლო ჰქონდა თუ არა ადგილი გუბერნატორის მოადგილის მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციას, ამ საკითხს

უფლებამოსილების ფარგლებში ცენტრალური საარჩევნო კომისია განიხილავს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ზემოხსენებულ საკითხზე კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა განცხადების ავტორი ორგანიზაცია ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელს, ბატონ რატი თიკანაშვილს. მან აღნიშნა, რომ ცესკო-ს ადგილობრივი წარმომადგენლობის მიერ გუბერნიის ადმინისტრაციაში შესულია ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რაზეც მიმდინარეობს წარმოება და უახლოეს მომავალში მათი პოზიცია გახდება ცნობილი. მანვე დაამატა, რომ გუბერნიის ადმინისტრაციები და ადგილობრივი თვითმმართველობები გაფრთხილებულნი არიან კანონის შესაბამისად არსებული წინასაარჩევნო შეზღუდვების თაობაზე.

თავმჯდომარის თქმით, კომისია დაელოდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას და გამოთქვა მომავალში მსგავსი ფაქტების აღკვეთის იმედი.

ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე, ასევე, შეეხო საარჩევნო გაერთიანების – „ზვიადის გზა – უფლის სახელით" – მიერ კომისიის სამდივნოში წარმოდგენილ განცხადებას, რომლითაც უკმაყოფილება გამოიხატა პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად არჩევნების თარიღად 8 ოქტომბრის შერჩევასა და გამოცხადებასთან დაკავშირებით და მოითხოვა სისხლისსამართლებრივი რეაგირება პრეზიდენტის ამგვარი ქმედებასთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, განცხადების განხილვა და რეაგირება სცილდება კომისიის უფლებამოსილებას. საკითხზე ისაუბრა და თავისი მოთხოვნა განმარტა განცხადების ავტორმა, ბატონმა გელა სალუაშვილმაც. მისი თქმით, პრეზიდენტის ქმედება არ მოდიოდა კანონთან შესაბამისობაში და კომისიისგან მოითხოვა საკითხის შეფასება. კომისიის წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ განცხადებაში დასმულ საკითხზე მსჯელობა ერთმნიშვნელოვნად სცილდება უწყებათაშორისი კომისიის კომპეტენციას.

დღის წესრიგის 3.1. საკითხთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ზაზა სოფრომაძემ. მან აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის პროექტებს მუდმივი ხასიათი აქვს, და ეს, რა თქმა უნდა, არ წარმოდგენდა საარჩევნო მიზნებისთვის ჩატარებულ აქციას. ამავე საკითხზე განცხადება გააკეთა ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნინო რიჟამაძემ. მისი თქმით, სახეზე იყო სავარაუდო წინასაარჩევნო აგიტაციის ნიშნები და ა(ა)იპ „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის" სახელი და ლოგო ასოცირებას იწვევდა პოლიტიკურ გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოსთან". როგორც მან აღნიშნა, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართა ცესკო-ს, სადაც დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება. ქალბატონი ნინო რიჟამაძის პოზიცია არ გაიზიარეს და საწინააღმდეგო მოსაზრება დააფიქსირეს „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორის" წარმომადგენელმა, ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ, და

„პროფესიული განათლების პროფესიული კავშირის“ წარმომადგენელმა, ბატონმა დანიელ დავითაშვილმა.

საკითხზე კომენტარი გააკეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, ბატონმა ოთარ კახიძემაც. მისი ინფორმაციით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – თავმჯდომარე რამინა (რიმა) ბერაძე აპირებს კენჭისყრას ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად, რაც არის პირდაპირ ან არაპირდაპირ საკუთარი ან სხვა იურიდიული პირის მეშვეობით ამომრჩევლისთვის უსასყიდლო მომსახურების გაწევა საარჩევნო კამპანიის პერიოდში. მანვე დაამატა, რომ საკითხი უფრო ფართო კონტექსტში უნდა იქნეს შესწავლილი, და ეს ხომ არ იქნებოდა პრეცედენტი, სხვა საარჩევნო სუბიექტებმა შექმნან საკუთარი ლოგოს და სახელის მსგავსი იურიდიული პირები, რომელთა მეშვეობითაც მოსახლეობას უსასყიდლოდ მიაწვდიან მომსახურებას.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა ამავე საკითხზე თხოვნით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და აუდიტის სამსახურს, რათა დროულად იქნეს საკითხი შესწავლილი და, შედეგებიდან გამომდინარე, კომისიის წევრები იმსჯელებენ რეკომენდაციის მიღების საჭიროებასთან დაკავშირებით. მან იქვე დაამატა, რომ ამ თემას მომდევნო სხდომაზეც შეეხებიან, მისი მიმდინარე ხასიათიდან გამომდინარე.

დღის წესრიგის 3.2. საკითხზე სიტყვა გადაეცა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს. მისი განცხადებით, შედგა კომუნიკაცია ბატონ ედიშერ თოლორაიასა და ბატონ დავით კოდუასთან (გუბერნიის ადმინისტრაციის თანამშრომელი). მოძიებული ინფორმაციით, 13 ივნისს ფეხბურთის ფედერაციას მიმართა ზუგდიდის მოყვარულთა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ფონდ „ვატოს“ პრეზიდენტმა (რომელიც საქმიანობს სამეგრელოში) ფონდისთვის შესაბამისი სპორტული ინვენტარის გამოყოფის თაობაზე. შემდგომ ფონდ „ვატოსა“ და ადგილობრივი, სამეგრელოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაიგეგმა ღონისძიება, ინვენტარი გადასცემოდა დარჩელის ფეხბურთის გუნდ „ჩელას“. ბატონი ედიშერ თოლორაია და ბატონი დავით კოდუა ამ ღონისძიებაზე სტუმრის რანგში იყვნენ მიწვეულნი. მთავრობის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არცერთი თეთრი არ იყო დახარჯული ზემოხსენებული მიზნით – ეს იყო ფეხბურთის ფედერაციისა და ფეხბურთის განვითარების ფონდ „ვატოს“ მიერ დაგეგმილი ღონისძიება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, ბატონმა ოთარ კახიძემ, მადლობა გადაუხადა კომისიას საკითხთან დაკავშირებით განმარტებაზე და აღნიშნა, რომ მათ შემოიტანეს განცხადება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული საკითხი დაზუსტდება და ინფორმაცია

გადამოწმდება, მთავრობის წარმომადგენლის მიერ მოყვანილი ინფორმაციის სასარგებლოდ შეიძლება საკითხი ამოწურულად ჩაითვალოს.

კომისიის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია წერილობით გაეგზავნოს სამდივნოს განმცხადებლის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის") ინფორმირების მიზნით, ასევე, დაამატა, რომ კომისია ელოდება ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და აუდიტის სამსახურის განხილვის შედეგებს და მომდევნო სხდომისთვის ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვევა.

სხდომის მიმდინარეობისას ქალბატონმა თეა წულუკიანმა ხაზგასმით აუწყა დამსწრეებს, რომ კომისიის სამდივნოს ელფოსტა და ცხელი ხაზი ფუნქციონირებს 24-საათიან რეჟიმში, ამასთან, აღნიშნა, რომ ჯერჯერობით საგანგაშო ხასიათის შეტყობინებებს, პარტიებს შორის ფიზიკური დაპირისპირებების შესახებ ან/და მსგავსი შინაარსის დარღვევასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე მყოფ პირებს, დღის წესრიგით განსაზღვრული ბოლო საკითხის თანახმად, ხომ არ სურდათ, წარმოედგინათ სხვა დამატებითი ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით. სიტყვა ითხოვა ბატონმა მიხეილ სალუაშვილმა, წარმომადგენელმა ორგანიზაციისა „ზვიადის გზა – უფლის სახელით". მან უკმაყოფილება გამოხატა საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ რეგულაციებზე, რომლის მიხედვითაც, იმ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებსაც ამ დრომდე არ გაუვლიათ რეგისტრაცია ცესკო-ში, ეზღუდებათ შენობებით სარგებლობის უფლება ამომრჩეველთან შეხვედრის მიზნით, ასევე, მსგავსი შეზღუდვაა სააგიტაციო მასალების განთავსების ადგილებთან დაკავშირებით. ბატონი მიხეილის აზრით, ცესკო ამ გადაწყვეტილებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა პარტიებს.

ზემოთქმულს გამოეხმაურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ჟვანია, რომელმაც განმარტა, რომ ზემოდასახელებული ორივე საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ორგანო ადგილობრივი თვითმმართველობაა; ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კანონით აქვს ვალდებულება, შენობა-ნაგებობების და სააგიტაციო მასალის განთავსების ადგილების თაობაზე მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული სია გამოაქვეყნოს და მოახდინოს საარჩევნო სუბიექტების ინფორმირებულობა. მანვე დაამატა, რომ ცესკო თებერვლიდან ურჩევდა პარტიებს, დროულად შეეტანათ განაცხადი საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციის თაობაზე, რათა გონივრულ ვადებში მიეღოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სარგებელი.

მიხეილ სალუაშვილმა ითხოვა რეგისტრაციადაგვიანებულ პარტიათათვის რეკომენდაციის გაცემა პლაკატების გაკვრის ადგილის თაობაზე. პასუხად, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, კომისია იმსჯელებდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ამ საკითხის კანონის ფარგლებში რეგულირების გზებზე; ამასთან, მან მიმართა მთავრობის ადმინისტრაციის

წარმომადგენელს, მოცემულ საკითხებზე აქტიური კომუნიკაცია ყოფილიყო მუნიციპალიტეტებთან.

კომისიამ მოისმინა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლის, ბატონი გოჩა თევდორაძის, განცხადება, რომელმაც წამოაყენა საკითხი უფასო სარეკლამო დროის განაწილებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, არსებული კანონპროექტით, ირღვეოდა მისი და კიდევ რამდენიმე პარტიის უფლებები, რადგან მათთვის მცირდებოდა უფასო სარეკლამო დროით სარგებლობა. საკითხს გამოეხმაურა ცესკო-ს წარმომადგენელი, ბატონი არჩილ ანასაშვილი. მან აღნიშნა, რომ ეს კანონპროექტი უკვე მიღებული და ძალაში იყო შესული. ქალბატონმა თეა წულუკიანმა დაამატა, რომ ამ ცვლილების მიზანი იყო, უფასო სარეკლამო დრო გადანაწილებულიყო ყველა პარტიის თანაბარუფლებიანობის დასაცავად, ხოლო უკვე მიღებულ კანონთან დაკავშირებით კომისია არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა მის მიზანშეწონილობაზე.

სხდომაზე დამატებით საკითხი წამოჭრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, ბატონმა ოთარ კახიძემ. მისი თქმით, მათი პარტიის ვაკის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატის, ქალბატონი ელენე ხოშტარიას, მიერ ამომრჩევლებთან გამართულ შეხვედრებს პერმანენტულად ესწრება უცნობი მამაკაცი, რომელიც სხვადასხვა შეურაცხმყოფელი გამონათქვამით ცდილობს, ხელი შეუშალოს წინასაარჩევნო კამპანიას და პროვოცირება მოახდინოს პარტიის მხარდამჭერ აქტივისტებზე. მისივე თქმით, პარტიის ოფისში გამოცხადდა უცნობი პიროვნება, რომელმაც აღნიშნა, რომ ზემომითითებული ქმედებები ხორციელდებოდა პოლიციის უფროსის დავალების შესაბამისად. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ოთარ კახიძემ თხოვნით მიმართა კომისიის წევრებს, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, შესწავლილ იქნეს ეს ფაქტები და მოხდეს შესაბამისი რეაგირება, რათა მომავალში ადგილი არ ჰქონდეს ამგვარ ექსცესებს.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა შეკითხვა დასვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლისადმი, რაკი ამ ქმედებებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა მიღებული, ხომ არ არსებობდა თუნდაც ტელეფონით გადაღებული მასალა, რაზეც ოთარ კახიძემ უპასუხა, რომ, როდესაც ეს მტკიცებულებები ექნებოდათ, წარმოადგენდნენ განცხადების ფორმით, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

ინფორმაციას გამოხმაურება მოჰყვა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ბატონი შალვა ხუციშვილის, მხრიდანაც. მისი განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა უფრო კონკრეტული მასალების მიწოდება, რათა შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეისწავლოს და შეძლოს ინფორმაციის გადამოწმება.

კომისიის თავმჯდომარემ მოუწოდა პარტიის წარმომადგენლებს, წინასაარჩევნო პერიოდში თავი შეეკავებინათ ნებისმიერი სახის აგრესიისა და ძალადობის გამოვლენისაგან. მისი თქმით, კანონის გამკაცრებაც სწორედ ამას ემსახურება, რომ მოხდეს კანონდარღვევის პრევენცია, ხოლო თუ

სახეზე იქნება კანონსაწინააღმდეგო ქმედება, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსგან შემწყნარებლობის იმედი არავის ჰქონდეს; კანონის ყველა დამრღვევი დაისჯება სამაგალითოდ, რათა ხალხმა თავისუფალ და მშვიდ გარემოში შეძლოს არჩევანის გაკეთება. კომისიის და ხელისუფლების უმთავრესი მიზანია, არჩევნები ჩატარდეს ყველა სოფელში და ყველა საარჩევნო უბანზე აგრესიისა და ძალადობის გარეშე, რისთვისაც მთავრობა ყველა სამართლებრივ ბერკეტს გამოიყენებს.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისათვის და მომდევნო სხდომის თარიღად გამოაცხადა 2016 წლის 27 ივლისი, 18:00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „პატრიოტთა ალიანსი“ – გოჩა თევდორაძე;
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – ოთარ კახიძე;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ სალუაშვილი.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო – ხათუნა ჭითანავა;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – რატი თიკანაშვილი.

სხდომა დასრულდა 14:30 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: